



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახათელი დავით ნიკოლოზის ძე



დ. მახათელი

მიიღო ლობნას ახალგაზრდა მოცეკვავეთა საერთაშ. კონკურსზე („The Prix de Lausanne“), მოიპოვა I პრემია და პრიზი, რამაც ლონდონის კოვენტ-გარდენის საბალეტო სკოლაში უფასოდ სწავლის შესაძლებლობა მისცა. სკოლის დამთავრების შემდეგ ცეკვავდა ბირმინგემის სამეფო თეატრში, ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის, იაპონიის, ჩინეთის, ევროპის, აშშ-ის თეატრების სცენაზე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. ქორეოგრ. სასწავლებელში, პანამის ნაციონალურ ბალეტში. 1996 მიიწვიეს ჰიუსტონის საბალეტო დასში, 2001-02 ამავე დასის, 2003-12 კი - ლონდონის კოვენტ-გარდენის სამეფო ბალეტის წამყვანი სოლისტია, 2007-იდან - საბალეტო დასის ხელმძღვანელი, ასევე არის თავისივე დაარსებული სააგენტო D&D Art Productions-ის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. თანამშრომლობს მოსკოვის დიდი თეატრის,

მახათელი დავით ნიკოლოზის ძე (დ. 15. V. 1975, თბილისი), ბალეტის მოცეკვავე, პედაგოგი. მ-ის მშობლები იყვნენ თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მოცეკვავეები - ნ. მახათელი და მ. ლოლაძე. დაამთავრა თბილ. ქორეოგრ. სასწავლებელი (პედ-ები: ნ. მახათელი, ვ. ჭაბუკიანი, ლ. მხითარიანი, ბ. რახმანინი, ჰ. ზამუელი). მ-მა მონაწილეობა



დ. მ ა ხ ა თ ე ლ ი - გრაფი ალბერტი, ე. ობრაზცოვა - ჟიზელი. ა. ადანის „ჟიზელი“.

სანქტ-პეტერბურგის, პარიზის, ინგლისის სამეფო და სხვ. წამყვანი თეატრების არტისტებთან, ანცობს გალა-კონცერტებს, საერთაშ. კონფერენციებს, სიმპოზიუმებს და სხვ. არის აგრეთვე მრავალი საერთაშ. კონკურსის ჟიურის წევრი. მ-ს რეპერტუარშია ლ. მინკუსის „ბაიადერა“, პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „მაკნატუნა“, ა. ადანის „ჟიზელი“, ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“, „კონკია“; „ონეგინი“ (მუსიკა პ. ჩაიკოვსკის) და სხვ. მას, როგორც პედაგოგს, ხშირად იწვევენ მსოფლიო წამყვან საბალეტო დასები (დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი).
